

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2026 წლის 13 იანვრის №4/01-01 ბრძანების საფუძველზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 19 თებერვლის №8/2026 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #3

ქ.თბილისი

27 თებერვალი 2026 წელი

18:00

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 3 წევრი: 1) ცისანა გავაშელი - თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე); 2) ირაკლი კორძაბია - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სსიპ ინსტიტუტი "ოპტიკა" (თავმჯდომარის მოადგილე) 3) ზურაბ შერმადინი - თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი (კომისიის მდივანი); საკონკურსო კომისიის მეოთხე წევრს ლევან შოშიაშვილს - თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორს დასჭირდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაციის ჩატარება. აღნიშნულის გამო იგი სხდომას ვერ დაესწრო.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამებისათვის ფარული კენჭისყრის ჩატარება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გამოსავლენად ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ცისანა გავაშელის ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2026 წლის 13 იანვრის №4/01-01 ბრძანების საფუძველზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შემოსული ერთი, კერძოდ, თსუ ასოცირებული პროფესორის დავით კაკულიას განაცხადის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცა აპარატის მიერ, რაც დასტურდა შესაბამისად შედგენილი დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტით. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა საკონკურსო კომისიის სხდომაზე კომისიის მიერ. პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიამ შეამოწმა კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულე და შესაბამისობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესში მოყვანილ მოთხოვნებთან. საკონკურსო კომისიამ შეამოწმა კონკურსანტის ანკეტის ინფორმაციის

სისწორე და შეაფასა პირველ ეტაპზე კონკურსანტი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4). კერძოდ: ანკეტის პირველი კატეგორიის მიხედვით კონკურსანტის ფორმალური კვალიფიკაცია აკმაყოფილებს ვაკანსიის მოთხოვნებს: კონკურსანტს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი და არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი 2003 წლიდან, მისი სადისერტაციო თემა იყო: „ღია მეტალური ზედაპირების სინშირული მახასიათებლების შესწავლა დამხმარე გამომსხივებლის მეთოდით“ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

კონკურსანტ დავით კაკულიას საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

2002 წლიდან იგი თანამშრომლობს თსუ-ისთან ჯერ ზოგადი ფიზიკის კათედრის ინჟინრის, ხოლო 2003 – 2006 წლებში გამოყენებითი ელექტროდინამიკის ს/კ ლაბორატორიის უმც. მეცნიერ მუშაკად პოზიციაზე ყოფნის შესაბამისად. 2006 წლიდან იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ში, ხოლო გამოცხადებული კონკურსის ვაკანსის შესაბამისი პოზიცია თსუ-ში კონკურსანტს უკავია 2013 წლიდან. შესაბამისად მისი პედაგოგიური გამოცდილება აღემატება 6 წელს და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი 2017- წლიდან შეთავსებით სსიპ ინსტიტუტ „ოპტიკის“ დირექტორია, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა თსუ ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სტუდენტებს პროფილის მიხედვით დასაქმების თვალსაზრისით.

წლების განმავლობაში დავით კაკულია წარმატებით ეწევა სასწავლო - მეიოდურ საქმიანობას, მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და შეიქმნა შემდეგი სასწავლო კურსები: „გამოყენებითი ელექტროდინამიკა“, „საინჟინრო ამოცანების ამოხსნა მატლაბში“, „ფიზიკის ამოცანების მოდელირების საფუძვლები“, „რიცხვითი მეთოდები გამოყენებით ელდინამიკაში I-II“, ასევე მან 2020 წელს შექმნა კურსის „ელექტრომაგნიტიზმის საფუძვლები“ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია. კანდიდატი აღნიშნულ კურსებს კითხულობს თსუ ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურზე და აქტიურად მონაწილეობს კურსდამთავრებულების პროფილის მიხედვით დასაქმების მიმართულებით. უძღვება საწარმოო პრაქტიკას მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. კონკურსანტს, როგორც ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამისათვის საერთაშორისო ABET აკრედიტაციის მოპოვებისათვის. მას გავლილი აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები საქართველოსა და აშშ-ის შორის ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის უმაღლესი განათლების პროექტის ფარგლებში სან-დიეგოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე კონკურსანტი მონაწილეობდა ნიტრაში (სლოვაკეთი) გამართულ საზაფხულო სკოლაში „ინჟინერიაში ახალი სწავლების მეთოდები“. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს მის მიერ წაკითხული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 4 კურსის სილაბუსი: „გამოყენებითი ელდინამიკა“, „საინჟინრო ამოცანების ამოხსნა მატლაბში“, მიკროპროცესორები და მათი დაპროგრამების საფუძვლები“, „ციფრული სისტემების დიზაინი“. აღნიშნული კურსების როგორც სალექციო ასევე პრაქტიკული ნაწილი კონკურსანტს წარმატებით მიჰყავს თსუ ელექტრულ და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის სტუდენტებისათვის. წარმოდგენილი სილაბუსები შეესაბამება თსუ აკადემიური საბჭოს №100/2019 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კონკურსანტმა საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით მიიღო - „მაღალი“.

სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ბოლო წლების კონკურსანტის შეხედულებისამებრ მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები, ყველა მათგანი გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში და თემატიკა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის

სამეცნიერო პროდუქტიულობა სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების მიხედვით დარგისთვის საკმარისად მაღალია: ციტირების ინდექსი: Scopus -211; Google scholar -337; h - ინდექსი: Scopus -7; Google scholar -8. დ. კაკულიას მონაწილეობა აქვს მიღებული პრავალ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ 4 პროექტში ხელმძღვანელის და ძირითადი პერსონალის სტატუსით. კონკურსანტი მჭიდროდ თანამშრომლობს დართმუთის კოლეჯის საინჟინრო სკოლასთან (აშშ), ათენის ეროვნულ ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ციურიხის ფედერალური ტექნოლოგიების ინსტიტუტთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი 2023 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია „Design and Assessment of a Novel Biconical Human-Sized Alternating Magnetic Field Coil for MNP Hyperthermia Treatment of Deep-Seated Cancer“ დაბეჭდილია 4,5 იმფაქტფაქტორის (WoS ბაზით) მქონე ჟურნალში „CANCERS“ და ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მკვეთრად გამოკვეთილი აქვს მისი კვლევების წვლილი მნიშვნელოვან კვლევით საინჟინრო ამოცანებში: დაბალსიხშირული მაგნიტური ველების მიერ გამოწვეული არასასურველი ეფექტები, ინდუცირებული გრიგალური დენების რაოდენობრივი შეფასება, ინდივიდუალურ ანატომიზე მორგებული ველების მოდელის შექმნა, მაგნიტური ველების ჩამოსაყალიბებლად ეფექტური კოჭების კონსტრუქციების შექმნა და გამოკვლევა. ამავდროულად მის სამომავლო ინტერესს წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებისა და მათთან დაკავშირებული სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი და ანალიტიკური მეთოდების განვითარება. ამოცანათა სპექტრი დაკავშირებულია რთულ დიფერენციალურ შრებთან და მეტამასალურ სტრუქტურებთან. კონკურსანტი კვლევებში აქტიურად რთავს სტუდენტებს და ამ ინტეგრირებას სამომავლო კვლევების შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისითაც ნაყოფიერად თვლის მათთვის სხვადასხვა მიმართულებებით: ზემოდასახელებული რადიო, სენსორული და საკომუნიკაციო სისტემების განვითარების ოპტიკური და მიკროტალღური მოწყობილობების, ფილტრების, რეზონანსული ეფექტების და შთანთქმის მექანიზმების დეტალური ანალიზისათვის და შესაბამისად საგრანტო თუ ინდუსტრიული დაფინანსების მოსაზიდად.

III კატეგორიის მიხედვით კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეუწყობს სტუდენტებს განვითარებაში ხელს, კომისიამ მას ამ კატეგორიაში მიანიჭა შეფასება „მაღალი“.

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა (მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაიქტერესება თსუ-ში სწავლით, კომპიუტერთანამუშაობის უნარები, ენებისცოდნა და სხვ.). კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებით აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. იგი არის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. ფლობს საოფისე და სხვა პროგრამებს, ასევე უცხო ენებს: რუსული, ინგლისური.

კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის მიხედვით კომისიამ მიანიჭა შეფასება „მაღალი“.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დავით კაკულიამ I ეტაპზე კომისიისაგან ყველა პუნქტში მიიღო მაღალი შეფასება და მოიპოვა პრეტენდენტის სტატუსი.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორის ცისანა გავაშელის ინფორმაცია კონკურსის მეორე ეტაპის საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგინდეს დროს და ადგილზე ჩატარების შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, აღნიშნულ ეტაპზე გასაუბრება ჩატარდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევის და მეტყველების მანერა. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტმა ნათლად ჩამოაყალიბა სამეცნიერო და

საგანმანათლებლო მიმართულებებით განვითარების პერსპექტივები და ამომწურავი პასუხები გასცა კომისიის წევრების შეკითხვებს. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა დავით კაკულიამ სათანადო დოწეზე წარმოადგინა კვლევის კონცეფცია, დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის მდივნის ზურაბ შერმადინის დასმულ კითხვაზე, მაგნიტური ჰიპერთერმიასთან დაკავშირებულ კვლევებში ჩართულობის ხანგძლივობასთან დაკავშირებით, პრეტენდენტმა უპასუხა, რომ ამ მიმართულებით, უკვე ცამეტი წელია, თსუ და დართმუთის კოლეჯის საინჟინრო სკოლა (აშშ) მჭიდროდ თანამშრომლობენ, აქვთ მიღებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსება რამდენიმე კვლევით პროექტზე. ამ პროექტების ფარგლებში შეისწავლეს: მაგნიტური ნაონაწილაკების კონცენტრაციასთან და ცვლად მაგნიტურ ველთან დაკავშირებული საკითხები, ველების გავლენა შთანთქმის კუთრ მაჩვენებელზე, ტემპერატურის ზრდაზე და მის განაწილებაზე ადამიანის კომპიუტერულ მოდელებში, მაგნიტური ნაონაწილაკების ცვლადი მაგნიტური ველით „დასხივებისას“ თანმხლები არასასურველი გრიგალური დენები, რომლებიც ადამიანის ჯანსაღ ქსოვილშიც ინდუცირდება, მათი შემცირების და ეფექტური მაგნიტური ჰიპერთერმიის ჩატარების შესაძლებლობა.

კომისიის თავმჯდომარის ც. გავაშელის პრეტენდენტის სტატიასთან დაკავშირებულ კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია სტატიაში წარმოდგენილი ძლიერი მაგნიტურ ველის შემქმნელი კოჭის მოდელის შესაბამისი მოწყობილობის შექმნა. პრეტენდენტმა უპასუხა, რომ მსგავსი კითხვა გაუჩნდა რეცენზენტს სტატიის განხილვის პროცესში, რის გამოც სტატიის ავტორებმა დამატებით ჩაატარეს გამოთვლები, შეიძლებოდა თუ არა მოცემული ინდუქტივობის კოჭისთვის შეერჩიათ რეალური ტევადობის კონდენსატორი, რომელიც სასურველ სიხშირეზე წარმოქმნიდა რეზონანსს და კოჭის მავთულის წინააღმდეგ გათვალისწინებით შესაძლებელი იქნებოდა მაღალი დენების მიღება. დამატებითი კვლევების შედეგების წარდგენის შემდეგ შენიშვნები არ ყოფილა და სტატიაც მალევე გამოქვეყნდა. ეს შედეგები სტატიის დანართში არის შესული.

კომისიის წევრის ი. კორმახიას კითხვაზე, თუ რა განაპირობებდა ასეთი ფორმის კოჭის შერჩევას და რატომ არ გამოდგებოდა ტრადიციული ფორმა, პრეტენდენტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო არასასურველ გრიგალურ დენებთან „ბრძოლა“, მათი შემცირება და მაგნიტური ველის კონცენტრირება გარკვეულ წერტილში, სადაც მაგნიტური ჰიპერთერმით უნდა მოხდეს მკურნალობა. კლასიკური ფორმა უფრო ერთგვაროვანი სტრუქტურის მაგნიტურ ველს იძლეოდა, რომელიც მაღალ გრიგალურ დენებს არ გამოორიცხავს.

პრედენდენტმა მეორე ეტაპზე კომისიის წევრებისაგან დაიმსახურა მაღალი შეფასება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონიკული ინჟინერიის დეპარტამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრის ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა აღნიშნული პროცედურისათვის ყველა მოთხოვნის შესაბამისად. კენჭისყრისას ხმის მიცემის უფლება ჰქონდა საკონკურსო კომისიის სამ წევრს, რომლებიც მონაწილეობდნენ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებაში და ესწრებოდნენ გასაუბრების ეტაპს (კომისიის მეოთხე წევრი გადაუდებელი ოპერაციის გამო გასაუბრების და კენჭისყრის პროცედურას ვერ დაესწო). კომისიის თავმჯდომარემ ც. გავაშელმა კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები და კენჭისყრისათვის განკუთვნილი ცარიელი ყუთი. კომისიის წევრების წინაშე დაილუქა ყუთი და ჩატარდა 1 პრეტენდენტისათვის ფარული კენჭისყრა. ყუთის გახსნის შემდეგ გამოვლინდა რომ გამოყენებული იყო 3 ბიულეტენი, გაფუჭებული იყო - 0. კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 3; წინააღმდეგი -0. კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ პრეტენდენტი დავით კაკულიას განათლება, მინიჭებული ხარისხი შესაბამისობაშია საკონკურსო პოზიციასთან, აქვს კარგი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. იგი შეიტანს წვლილს თსუ სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციაში, სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებაში.

დაადგინეს:

1. კენჭისყრის შედეგების მიხედვით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა დავით კაკულია. კომისიამ მას ერთხმად მიანიჭა გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი.
2. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი #3 გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე :



/ცისანა გავაშელი/

კომისიის მდივანი:



/ზურაბ შერმადინი/

კომისიის წევრები:



/ირაკლი კორძაბია/